

დამტკიცებულია  
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის  
2018 წლის 08 ივნისის  
ბრძანება N 2/48



## შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია



მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების  
პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი

თბილისი 2018 წ

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- მოდულის განმახორციელებელი პირი არის პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

## **მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების პირობები**

2.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება შესაძლებელია წერილობითი განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში რექტორთან გასაუბრების შედეგების ან/და რექტორის გადაწყვეტილებით, აკადემიაში არსებული ვაკანსიების შესახებ ბრძანება თავსდება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რომელშიც მიეთითება:

ა) წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;

ბ) ვაკანტური ადგილები, დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და მისამართი.

2.2. რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა გამოცხადდეს კონკურსიც.

2.3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, განათავსებს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ( ვებგვერდი ან/და სხვა) ბრძანებაში განისაზღვრება:

ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;

ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები;

## **მუხლი 3. საკონკურსო კომისია**

3.1. საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრისაგან.

3.2. საკონკურსო კომისიის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი.

3.3. კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის რექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.

3.5. კოლეჯის რექტორი გასაუბრების შედეგების ან/და კონკურსის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას შერჩეულ პროფესიულ მასწავლებლებლის სამსახურში აყვანასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 4. ხელშეკრულებების გაფორმება**

4.1. რექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გამოცემული ბრძანების საფუძველზე ფორმდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.